

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონპროექტზე
„საქართველოს საპატენტო კანონში“ ცვლილებების და დამატებების
შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს საპატენტო კანონში“ განხორციელებული 2010 წლის ცვლილებების თანახმად, საპატენტს დაევალა შექმუშაუბინა და მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარედგინა ინსტრუქცია „გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ინსტრუქციის შექმუშაუბა ხორციელდება საპატენტში მომუშაუე ექსპერტების და სპეციალისტების მიერ, რომლებსაც გაანჩიათ სპეციალური ცოდნა საპატენტო სფეროში. ამასთან, აღნიშნული ინსტრუქცია გამუდმებით საჭიროებს სრულყოფას და დახეუწას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ინსტრუქცია მიიღოს საპატენტმა.

რამდენადაც, ინსტრუქცია „გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ადგენს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესებს იგი უნდა წარმოადგენდეს ნორმატიულ აქტს, რომლის გამოცემის უფლებამოსილება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, შესაძლებელია განისაზღვროს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: საპატენტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიენიჭოს უფლებამოსილება მიიღოს სამართლებრივი აქტები, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესებს (ნორმატიული აქტები).

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საპატენტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს სამართლებრივი აქტები, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესებს (ნორმატიულ აქტებს).

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს მთავრობა